

კურალის გამატება

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 9.

გვირა, 16 მაისი 1910 წ.

დამატების № |

შეულილი

გაუ დე მოჰასნისა

ყოველთვის, როდესაც კი მეტყვიან: „იცით, რომ უაკ პარანი შეშლილთა თავშესაფარში გარდიცვალა?“ — რაღაც ურუანტელი დამივლის ხოლმე ტანში და ამ საოცარი ადამიანის, დიდი ხნის შეშლილისა და ხანდისხან საშინელ მანიაკის სახე წარმომიდგება თვალ წინ.

ესე ორმოცი წლისა იქნებოდა, მაღალი, გამხდარ-გამხდარი და ცოტათი მოხრილი. თვალები ისეთი შავი ჰქონდა, რომ ვერც კი გაარჩევდი თვალის კაკლებს, მის მუდამ მოციმიტები თვალებს ავალ-მყოფის გამომეტყველება ჰქონდა. უაკ პარანი ერთი იმ საოცარ ადამიანთაგანი იყო, რომელიც მუდამ სულიერ და ფიზიკურ ნაღველს ატარებენ, რაღაც გაუგებარი ნერვების სისუსტე აქვთ, რომელიც აიძულებს ირწმუნონ ბუნებრივ შთაგონების არსებობა.

უაკ პარანს რაღაც საოცარი ჩვეულება ჰქონდა: ირას ღროს ხელები ისე თავისუფლად არ ეჭირა, რომელც ჩვენ; არასოდეს სხვა და სხვა საგანს და მაგიდას თავისუფლად ჭარშეებოდა მუდამ თავისკენ იზიდავდა და იფარავდა თავის გრძელ და გამხმარ ხელებს.

ან ჯიბებში ჰქონდა ხელები ჩაწყობილი, ან გულხელ დაკრეფილი იყო და თათები მკლავების კუნთებს ქვეშ ეწყო. ადამიანს ეგონებოდა, ალბად იმიტომა ჰმალავს და ჰკუმშამს ხელებს, რომ ეშინიან, მათ რამე სისაძაგლე სასირცევილო ან სასაცილო არ ჩაიდანონ თუ თავისუფლება ექნებათ და თავის სურვილისამებრ იმოძრავებენონ.

როდესაც ხელები უნდა მოეხმარა რაიმე ჩვეულებრივ საჭიროებისათვის, ისე სწრაფად ამუშავებდა, ისე უცბად გამოჰქონდა ხან და ხან ჩემში ისეთ წარმოუდგენელ მაგნეტიურ ძალა

ყოფდა, რომ იფიქრებდი: ალბად არ უნდა ტელებს ღრო მისცეს გონის მოვილენ, თავი გაინთავის უფლონ იმის სურალისაგან და რამე სხვა სამშე გააკეთონო. უფრაზედაც უაკ პარანი ისე მივარდებოდა * ჭიქას, ჩანგალს ან დანას, რომ წინდაწინ ვერც კი მიხვდებოდა ადამიანი იმის მოქმედებას.

ერთხელ საღამოზე შემთხვევა მომეცა და გავიცანი იმის სულიერი ავალმყოფობა.

დრო გამოშვებით უაკ პარანი ჩემთან ატარებდა ხოლმე ღროს სოფელში, რამდენიმე დღეც რჩებოდა ხოლმე. ამ საღამოსაც მეტად აღელვებული იყო.

დღისით საშინლად ჰქონდა. შემდეგ ცა მოიქმეშა და კექა ქუხილის ომლოდინში ვიყავით. ჰაერი დახშული იყო, ფოთოლი არც კი ირხეოდა. გახურებული ჰაერი ალივით პირს გვევლებოდა და სუნთქვას გვიმძიმებდა. ცუდ გუნება ზე ვიყავ, აღელვებული და მინდოდა იდრე დავწოლიყავო.

წამოვდექი, უნდა წაესულიყავ, უაკ პარანმა კანკალით მტაცა ხელი და მითხრა:

— არა, მაიცა პატარა ხანს! განციფრებით შევხედე პარანს და წავიბურტყუნე:

— მინდა დავწვე, რაღაც ამ ამინდმა სულ ნერვები ამიშალა.

ის აქვითინდა, ხმა მაღლა მორთო ღრიალი: — მეც, მეც! ღარჩი, გოხოვ დარჩი, არ მინდა მარტო ვიყო!

რაღაც საშინელი გამომეტყველობა ჰქონდა იმის სახეს. შევეკითხე:

— რა გემართება? გონცა გეკარგება?



ორი ობოლი. — სურათი ბუგუროსი.

პარანმა სწრაფულ მამიგო:

— ჴო, ხან და ხან, ასეთ საღამოების ღროს, ელექტრონის საღამოებზე... მე... მე... მეშინან... არ გესმის, რას ვამბოდ! საქმე იმაშია, რომ მე შემიძლიან... ე. ი. მაქვს უფლება... არა, ძალა... არ შეიძლიან აგისხით, მაგრამ ხან და ხან ჩემში ისეთ წარმოუდგენელ მაგნეტიურ ძალა

ვიგრძნობ, რომ მევე მეშინიან ხოლმე ჩემი თავისა.

აცახცახებულმა უცბად შეიყო ხელები სერთუკის უბე-ში, მეც ვკანკალებდი ამ გაუგებარ შიშისაგან. მინდოუა გავ-ქცეულიყავი, წავსულიყავ, მოვშორებოდი პარანს, რომე-ლიც გაშტერდებოდა, მერე ჭერს მიაპყრობდა თვალებს, დაექებდა მყულრო კუთხეს, რომ იქ დარჩენილიყო, დამა-ლულიყო.

შეშინებულმა წავიბუტბუტე!

— შენ არას დროს არაფერი გითქვამს ჩემთვის ამაზე!



პ. ფოცხვერაზვილი.

დღევანდელ კონცერტის გამო.

იმან მოშიგო.

— მართალია, არავისთვის არ მითქვამს, მაგრამ დღეს აღარ შემიძლიან გავჩერდე. მინდა რომ ყველაფერი იცოდე. შენ კიდეც დამეხმარები.

— იცი რა არის მაგნეტიზმი? არა. არავინ არ ციც. მაგრამ ყველა კი ამჩნევს, ყველასა სჯერა მაგნეტიზმი: ექიმებიც კი იმით სარგებლობენ, ერთი გამოჩენილი ექიმ-თაგანი, შარკო, იმაზე ლექციებსაც კითხულობს. მაში, ექვი არაა, მაგნეტიზმი არსებობს.

წარმოიდგინე. ადამიანს აქვს ისეთი ძალა, რომ შეუ-ძლიინ თავის სურვილისამებრ დააძინოს მეორე ადამიანი და ძილის დროს მოჰკაროს იმას აზრები ისე, როგორც იპარა-ვენ საფულე ქისას. ის იპირავს იმის აზრებს ინუ იმას სულს. იმის წმინდათა-წმინდას, მის „მე“-ს საიდუმლოებას, სულს—აზრთა სამფლობელოს ადამიანისას, იპარავს იმას, რა. საც მიუვალად, ხელუხლებლად სთვლიან და არავის არ ინდობენ, ინაუვენ ყველაზე სათუალ, უყვართ ყველა-ზე უფრო. აი ამ სულს იღებს, შეურაცყოფს. ხელებს აფა-თურებს მაში და ყველას უჩვენებს. გან, ეს მუარვალობა არაა, დანაშაული, უსინიდისობა?

— მაგრამ რათა როგორა ხდება ეს? იცის ეს ვინმემ? და საზოგადოთ რა ვიცით ჩენ?

— არიფერი ვიცით. ჩენ ვეცნობით საგნება და მოვლე-ნებს ჩენი საბრალო უსრულო და ვინუითარებელ გრძნო-ბათა საშუალებით, ეს გრძნობა ისეთი სუსტია, რომ ვერც კი ვიგებთ, თუ რა გვარტყია გარშემო. არაფერი არ ვიცით. წირმოიდგინე, მაგალითად, თუ რა არის მუსიკა, ეს ლეთაებ-რივი ხელოვნება, სულის ამჟაღლებელი, დამათრობელი, გამსპერაკებული მუსიკა? ისიც არაფერია?

— არ გესმის, რას ვაშბობ? დამიგდე ყური. აი, ორი ნივ-თი ერთმანეთს ეხლება, ჰაერი ამის გამო ინძრევა და ეს ჰაერის კანკალი სწრაფია ან ნელი, ძლიერია ან სუსტი, იმის მიხედვით, თუ როგორია დაკვრა. ჩენს ყურში აპკაა, რო-მელსაც ეს კანკალი ხვდება და გადაექვს ტვინში ხმების სა-ხით. წარმოიდგინე, რომ პირში ჩაეყნებული წყმლი ღვი-ნოდ გადაიტეს; ასეთ საკვირველებას სჩადის ყურის აპკა, რომელიც მოძრაობას ხმებად აქცევს.

მუსიკა რთული და საიდუმლოებით მოცულის ხელოვან-ნებაა, ნამდვილი, სწორი, როგორც ალგებრა, და გაბმული, როგორც ძილი, ხელოვნება მათემატიკიდან ან ნელი სიოდან შექმნალი, დამყარებულია მეტად თხელ აპკის თვისებაზე. ეს აპკა რომ არა ყოფილიყო, არ იქნებოდა არც ეს ხმები, რად-გან ყური რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა მუსი-კაცი. ჩენ გარს ბევრი მოვლენა გვარტყია, მაგრამ მათი არ-სებობა ვერც კი წარმოგვიდგენია, რაღაც არა გვაქვს ნიჭი რომლითაც ის უნდა შევიგნოთ.

შესაძლებელია, რომ მაგნეტიზმივე ასეთავე მოვლენას ეკუთვნოდეს. არა გვიქვს ის, რითაც მაგნეტიზმი უნდა შე-ვიგნოთ, მაგრამ შეგვიძლიან წინადან ვიგრძნოთ ეს ძალა, სიფრთხილით შევეხოთ ამ არაბუნებრივის საგანს და მეტად ბუნდოვანად გავარჩიოთ ბუნების ეს ახალი საიდუმლოება.

მე კი, მე საშინელი ძალა მაქვს... თითქოს რაღიც შეო-რე არსება იყვეს ჩემს შიგნით, რომელიც მუდამა სკალი-ლობს თავი გაინთავისუფლოს ჩემგან, იმჯემელის თავის სუ-ვილისა და ნებისამებრა: ეს ძალა მოძრაობს ჩემში, მაწვა-ლებს, მტანჯავს, ღონეს მაცლის. არ ვიცი თუ რა არსებაა ეს არსება, მაგრამ ჩენ ორივენი მოვმწყვდეულნი ვართ ჩემს საცოდავ სხეულში და ხან და ხან, როგორც ამ საღიმოს, ის მეორე არსება ჩემზე ძლიერია ხოლმე.

საკმაოა შევხდო ადამიანს, რომ ის ბანგ დალეულივით გაშეშდეს, საკარისია ხელები გავჭიმო, რომ საშინელი რამ, საშინელი რამ ჩაიდინო. შენ რომ იცოდე, რომ იცოდე! და მარტო კაცებზე კი არ მოქმედობს ჩემი ძალა, ცხოვე-ლებზედ და... საგნებზედაც.

ეს მე მაწვალებს და მაშინებს. მინდა ხოლმე თვალი გა-მოვითხარო, ხელები დავიჭრა.




პოლონელი მარია კალი ელიზა რშავკო.

გარდაიცვალა 5 მაისს.

მაგრამ მსურს, მსურს შენ ყველაფერი იცოდე. აი, მი-ყურე, გაჩვენებ. მაგრამ ადამიანზე კი არა, რაღაც ეს ყო-ველოვის შეიძლება, არამედ... ცხოველზე. დაუძახე მირზას.

პარანგა დაიწყო ოთახში სიარული შეშლილივით; გა-მოშალა ხელები, საშინელი იყო ეს ხელები, ორ ტიტველა ხელსავით მეჩვენა.

მე უნებურად დავმორჩილე, უსიტყოდ ვკანკალებდი, მთელის გონებით მინდოდა ყველაფერი მენახა. გავაღე კა-რები, დაუძახე ჩემს ძალლს, რომელსაც დერეფანში ეძინა.



ინდისის მაცე დღუარდ მა VII.

(გარდაიცვალა 23 აპრილს).

მალე ძალის შაკა-ბუკი შემესმა; შემოვიდა ძალი, კუდი იქნება, გველიმებოდა.

უბრძანე ნიშნობით დაწოლოლიყო დივაზნედ. ძალი წამოხტა და უკისაც დაუწყო ლაქუცი, სულ გაშტერებული უყურებდა ძალის.

ჯერ არ ისვენებდა ძალი, კანკალებდა, თავს აქეთ იქით იქნება და უნდოდა მორიდებოდა ადამიანის შეხედავს. ემჩინეოდა, ძალი მეტაც შეშინებული იყო. უცბად ცახუანი დაიწყო, ტანში ურუანტელმა გაუარა, გაიჭიმა ში ცადა გაქცევას, მაგრამ უკმა ხელი დაადა თავზე და ძალიმა ისეთი საშინელი ყმუილი მორთო, როგორც ყმუიან ხოლმე სოფლის ძალები.

მეც რაღაც დავიბენი, მოვდუნდი, გონება დამეფანტა და ისე მემართებოდა, თითქოს გემში მჯდარიყავ: ვველაფერი ტრიალებდა, გარს მივლიდა. მე ვჩინჩულობდი „ქმარა, უკა, კმარა“. მაგრამ ის ყურს არ მიგდებდა, და საშინელი, საოცარი თვალებით უყურებდა მარზას, რომელსაც თვალები დაეხუჭა, თავი ჩაექინდრა, თითქოს სძინავსო. უკი მომიბრუნდა და მითხრა.

— მზად არის, უყურე ეხლა.

გადაეგდო სელსახოცი ოთახში და უბრძანა ძალის: „აპორტ“.

ოთხფეხი წამოდგა, ფარფატით და წყვეტებით, თითქოს უსინათლოა და დამბლა დაცემული, გაემართა ხელსახოცისაკენ. ძაღლი სცდილობდა ხელცახოცის აღებას, უნდოდა კბილები მოევლო, მაგრამ ხელცახოცის ვერ ახვედრებდა კბილებს, თითქოს ვერა ხედავდა. ბოლოს თავი მიანება და გაბრუნდა ისევ ფარფატით. საშინელი შასახედი იყო ძალი. უკმა უბრძანა: „კუშ“. ისიც დაწვა. ხელ ახლა შეეხო ძალის თავს და უთხრა: „აგერ კურდლელი, პილ! პილ!“ ძალი შეეცალა გაქცეულიყო, გაიწონა თითქოს, ძილშიაო და სიზმარში ნალირბასა ხედავსო. ამოუშვა ყეფა, პირ მოკუმულმა, საოცარი ყეფა.

უკი გამხეცებულიყით იყო ხეზე ოფლი წურწურით გადასდიოდა. დაუყვირა მირზას: „უკბინე პატრიონს!“ ძალიმა რამდენიმე საშინელი ნახტომი გააკეთა. ეტყობოდა იბრძოდა, ეწინააღმდეგებოდა. უკმა განიმეორა: „უკბინე!“ ძალი გამოექანა და მეცბ, მე კედლისაკენ დავიხიე, ვკანკალები შიშისაგან და თავის დასაცველად ფეხი ავიშვირე, რომ მამეშორებინა ძალი.

მ:გრამ უკმა უბრძანა! „მოდი ეხლია აქა“. ძალი მყისვე მოვიდა; უკმა თავზე ხელები გაღიუსვა, თითქოს უნდა უხილავი ნასკვი მოეხსნა. მირზამ თვალები გაახილა. უკმა უთხრა: „გათვალისწინება!“

არ მინდოდა შევხებოდი ძალის, გავალე კარები, რომ გასულიყო გარედ. ძალი მძიმედ გავიდა, კანკალით და მე კვლავ გავრგონე იმის ფეხების ბაკუნი. უკმა კვლავ მომმართა!

— სულ ეს არ არის. საკვირველი ისაა, რომ საგნებიც კი მემორჩილებიან.

ჩემს მაგიდაზე ხანჯალი იდო, წიგნების დასაცრელად ვხმარობდი ხოლმე.

უკმა გაიშვირა ხელი ხანჯლისაკენ, რომელიც ნელა მიცოდა იმის ხელებისაკენ და აშკარად დავინახე, უცბად ხანჯალი ათართოლდა, მიუახლოვდა ხელს, რომელიც მას უცდიდა და თითებზე გაეკრო.

შიშისაგან დავიყვირე, წარმოვიდგინე, რომ მეც ჰკუიდან ვიშლებოდი, მაგრამ ჩემმა შემხარავმა ხმამ გამომაფხიზლა და დამამშვიდა.

უკმა მითხრა:

— ი სწორებ ასევე მემორჩილებიან ყველა საგნები. ამიტომ ვიფარავ ხელებს. რაა ეს? მაგნეტიზმი, ელექტრონი? არ ვიცი, მაგრამ საშინელება კია!

მერე, გესმის, თუ რად არის ეს საშინელება? როდესაც ოთახში მარტო ვარ, თავს ვერ ვიმაგრებ და მინდა მივიზიდო ყველაფერი, რაც გარს მახვევია. მთელი საათები იმას ვაკეთებ, რომ გადამ-გადმომაქვს ნივთები, დაუღალავად ვგრძნობ ამ სასწავლებრივ ძალას, თითქოს მსურს შევიტყო, ხომ არ გამომეცალა იგი.


ეს იყო წვიმის პირველი წვეთი.

„საშინელებაა“ — უთხარი ჩემს თავს.

ფოთლები აშრიალდნენ და შეინძრენ. მოსკდა საშინელი ნიაღვარი.

უკი ხარბადა სუნთქავდა ჰაერს, იმისი გული აღივ-და-დიოდა.

— დამზოვე მარტო — მითხრა უკმა: — წვიმა დამამშვიდებს; მე მსურს ეხლა მარტო ვიყო.



ინდისის ახალი მაცე გეორგ მაცეთი.

მ რ ი ს უ რ ა მ ი მ

(თარგმანი)

გურიაშვილი ია კარგარეთელს

ბაღს ვისხდიო მოდუდუნ წყლის კიდეს...
აღტაცებით ჰანგსა ვმლერდი მთრთოლავი,
ხელსა ვხევდი სარო-ტანსა, მშვენიერს,
ცით გვიმზერდა ლრუბელო გუნდი მსრბოლავი!
მთვარის შუქი გამოკრთალი ნარნარად,
მოხდენილად ეგზებოდა მშვიდს სახეს;
ესრედ კვდომით, დავიწყებით ჩემ თავად
ამბორს ვყოფდი ნაზა ხელსა მხურვალეს.

—:

მგლოვიარედ სულთმობრძანი სანთელი
ეკლესის ბერლს თაღს ჰვენდა სინათლეს; ისახავდა
მუნ მეფობდა სიჩუმე და ნალველი, თუ მარტინ
მწარე გლოვა გულში ჰკლავდა სიამეს. მისიანი
მიცვალებულს უკვე ანდეჭას უგებლნენ, არის უკვე
შეგობარნი გულს აყრილნენ ყვავილებს,
კვლავ დავემხე, მოთქმით კრემლი დავდგარე,
ამბორს ვყოფდი უნუგეშოდ ცივს ხელებს!..

ა. შანშიაშვილი.



„პარიზის სონეტებიდან“

I. უან-უაკ რუსოს საფლავი პანთეონში

შენი სიცოცხლე, ვით საკმეველი,
ტანჯულო გმირო, დაიწვა სოფლად,
აღიდა ლვითისა საკურთხეველი,
და მოევლინა კაცი მახარობლად.

მათის ძველ ქვეყნის დამარცვეველი,
აფრევევდი ახალს სხივს მანათობლად,
და შენი ბუქე, ვარდის მრეველი,
ყველგან ისხამდა ყვავილსა მრჩობლად.

იძინე უკვდავთ სავანეს შინა,
რაც მაღლიერი მშობელი ერი
სდგას მოწიწებით შენს კუბოს წინა;

შთაპერე კვლავაც სული ძლიერი,
ვიდრე ვარდებრ არ დააგვიგვინა
მოლად შენი აღთქმა ლვთივ-მშვენიერი!

II. გიქტორ ჰიუგოს სახლი მუზეუმი.

ვით სალოცავი წმინდა ტაძარი,
თავისუფალის ერის დიდება,
მიზიდავ! შენი მყუდრო სახლ-კარი,
რაც შენი სახე თვალ-წინ მიდგება,
ტკბილო მოსანო! ბაღი ნარნარი
წინ მოედანზე კოხტად იშლება;
შენთ უკვდავ გმირთა მწყობრი ლაშქარი
თითქოს დარბაზში კოცხალი სდგება...

მიყვარს სახსოვარ საგანთა მზერა, უროვნეული
კედლით გადმომცეკვერ სურათთ შეფრევება,
და შენის ჩანგის იდუმლად უდერა.

გრძნეულის ჰანგით მალლა მეწევა
განუწყვეტელი შენი სიმღერა
და ციურ ნამად გულზე მეფრევევა.

III. მილოს ვენერა.

ვინ სთქვა, მოკვდაო ტურფა ელადა,
მუზათ სამკვიდრო, ედემის დარი,
როს გვიცერს ცოცხლად, მომხიბვლელადა,
ვენერა-ლმერთი, კვარცხლბეკზე მდგარი?

ყელ-მოლერილი უზრუნველადა,
ბროლის ნაკვეთები, სახე მწყაზარი,
ოქროს თმა წნული თავზე სქელადა,
შეკრდი ფიქაძიად ნაქანდაკარი.

გიმზერ და ველარ გაშორებ თვალსა,
ქალ-ლმერთო, წმინდა მშვენების წყარო,
თაყვანს ვსცემ შენსა შემომქმედს ძალსა

შენ-კი უცნობო ლოთაებრ-მხატვარო,
ხომ მოსვენებით ჰსვამ სტიქსის წყალსა,
ამ სოფლად მარად მოსაგონარო!

IV. ლუქსემბურგის ბალში.

უკრავს მუსიკა... გრძნეული ხმები
ხეივანის ქვეშ მიმოწრიალებს,
გადმობურული მწვანე ფოთლები
გრილის ნიავით წყნარად შრიალებს.

ნაზ მოსეირნეთ თეთრი კაბები
ჟვავილთა შორის მიმოფრიალებს,
მახის დამგები მწველი თვალები
ახალგაზიდობას ზედ შესტრუდიალებს.

გვერდით უკვდავ ქალთ ქანდაკებანი
თითქოს სიხარბით გადმოსცეკვერიან
კოცხალ მოკვდავთა წამიერს ლხენას.

ვის ვუძღვნა ჩემი ქებათ-ქებანი?
მკვდართათვის სიმნი არა უღერიან,
ხოლო კოცხალთა ვერ ვკალებ წყენას...

V. სენის პირად.

მდინარის პირად გადაყრდნობილი,
მთვარის ანარეკლს ვავლებდით თვალსა,
ტალ-და ტალ-ზე გადაკლობილი
აკმებამებდა მდუმარე წყალსა.

შენიშნე შენი მზერა კრთობილი,
ვით ამჟღავნებდა გულის მწვავ ალსა,
ხელი ხელს მოხვდა ლახვარ-მსობელი,
და მთელი არის მოჰყვა კანკალსა.

„გიყვარვარ განა“ — დამტკბობელი
აღმოგვევდა ორსავ ნექტარით მთვრალსა
და უტყვად მივხვდით ურთ-ერთის გრძნობას...

ოჳ, რათ გათავდა ის ლამე გრილი,
ნუ ნათელის დღის სიხარბე წმილი
ძირშივ მოჰყლავდა გაუშლელს ტრფობას?

მელიტონ გობეჩია.

1909 წ.

(შემდეგი იქნება)

